საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო
სტანდარტების ცენტრი

ბიბლიოთეკების როლი სამოქალაქო განათლებაში

მასალები ბიბლიოთეკების დასახმარებლად

თბილისი

2003

02+374+30
ბ 65

შემდგენელი: ნ. ქავთარაძე
რედაქტორი: გ. თაყნიაშვილი
რეცენზენტი: ზ. ჭიაბერაშვილი
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ბიბლიოთეკების როლი სამოქალაქო განათლებაში: მასალები ბიბლიოთეკების დასახმარებლად/ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; შემდგ. ნ. ქავთარაძე, რედ. გ. თაყნიაშვილი.– თბ., 2000.– გვ. – უფასო.

ნაშრომში მოკლედ, პოპულარული ენით გადმოცემულია სამოქალაქო საზოგადოების არსი, მისი როლი და ადგილი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობაში. დაინტერესებული პირი აქვე გაეცნობა ბიბლიოთეკების მუშაობის ზოგიერთ ფორმასა და მეთოდს სამოქალაქო განათლების სფეროში

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამოქალაქო საზოგადოება.

დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება.

სამოქალაქო განათლების არსი.

ბიბლიოთეკების როლი სამოქალაქო განათლებაში.

ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოში გამოცემული ოფიციალური და სხვა მასალების ძირითადი გამოცემები.

სამოქალაქო საზოგადოება

დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობა დღის წესრიგში აყენებს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ნორმებისა და წესების დამკვიდრებას. ჩვენს სინამდვილეში ყალიბდება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები, გაჩნდა ცნებები: «დემოკრატიული საზოგადოებრიობა», «სამოქალაქო უფლებები», «საბაზრო ეკონომიკა», «სამოქალაქო საზოგადოება», «არასამთავრობო ორგანიზაციები» და სხვ. საზოგადოების დიდ ნაწილს არა აქვს საშუალება უშუალოდ გაეცნონ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ცვლილებების ამსახველ მასალებს, ამიტომ მათთვის უცხოა ასეთი ცნებების არსი და მნიშვნელობა.

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ახლა ყალიბდება, თუმცა მას დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ძველ ბერძნული დემოკრატია აქტიურად უწყობდა ხელს თავისუფალ მოქალაქეთა საზოგადოებრივ ინიციატივასა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ყალიბდება ცხოვრების გარკვეული სფერო, რომელსაც სახელმწიფო აღარ განაგებს. საზოგადოება ინდივიდთა გაერთიანებაა, რომლის საფუძველზედაც ყალიბდება გარკვეული სისტემა. ყოველ საზოგადოებაში არსებობს საერთო – საზოგადოებრივი და კერძო, ინდივიდუალური ინტერესები. ეს ინტერესები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან და ხშირად დაპირისპირებაშიც გადადიან. ოფიციალური ხელისუფლება მართავს, განაგებს საზოგადოების საერთო ინტერესებს, იცავს ადამიანის უფლებებს სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ხელისუფლებას გააჩნია ძალაუფლება და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად შეუძლია მიმართოს ძალისმიერ მეთოდებსაც. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ნეგატიური მოვლენები: კანონების უხეში დარღვევა, კორუფცია, ძალადობა და სხვა სახის უკანონო ქმედებანი იწვევენ ადამიანთა უფლებების დარღვევას. დემოკრატიული სახელმწიფო ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოქალაქეთათვის, რათა მათ თვითონ დაიცვან საკუთარი ინტერესები, წაახალისონ კერძო ინიციატივა და შეიმუშაონ ზომებისა და მეთოდების სისტემა ადამიანთა კანონიერი უფლებების დასაცავად. სხვანაირად რომ ვთქვათ, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების გარკვეულ წილად შეზღუდვა და კონტროლის განხორციელება მის მოქმედებაზე. სწორედ ამ მიზნით მოქალაქენი საკუთარი ნებითა და ინიციატივით ქმნიან სხვადასხვა სახის ასოციაციებსა და საზოგადოებებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც

იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფოსაგან. ასეთი საზოგადოებები მოქმედებენ საკუთარი წესდებებითა და პროგრამებით.

სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა ისტორიულად ყოველთვის საკმაოდ დაძაბული იყო. ერთის მხრივ, არსებობდა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მართავდა ქვეყანას, მეორეს მხრივ, საზოგადოება, რომლის წევრებსაც სურდათ მმართველობაში მონაწილეობა. ეს ხშირად იწვევდა რევოლუციებსა და გადატრიალებებს. ამიტომ საჭირო იყო ისეთი მექანიზმის მოძებნა, რომელიც საზოგადოებასა და სახელმწიფოს თანამშრომლობის საშუალებას მისცემდა.

სახელმწიფოსა და საზოგადოების გამაშუალებელ ანუ მედიაციურ ფუნქციებს სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტები ასრულებენ (მაგ. პრესა, ტელევიზია, რადიო). ხშირად მათ მეორე ხელისუფლებასაც კი უწოდებენ. მედიაციური მექანიზმები საჭიროა ყველანაირი საზოგადოებისათვის, ხოლო დემოკრატიულ საზოგადოებაში ისინი აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. საზოგადოების ზრდასთან ერთად იზრდება მედიაციური ინსტიტუტების რიცხვიც. ერთ-ერთი ასეთი შედარებით ახალი ინსტიტუტია სამოქალაქო საზოგადოება.

სამოქალაქო საზოგადოება არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების. საზოგადოებების ერთობლიობა, რომლის მიზანს შეადგენს მოქალაქეთა კერძო ინტერესებისა და უფლებების დაცვა საზოგადოებრივი პროგრესის მისაღწევად. სამოქალაქო საზოგადოება არის საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელსაც ახასიათებს ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა ხელისუფლებისაგან, არაერთგვაროვნება და განსხვავებულობა საკუთარ მოქმედებასა და მიზანსწრაფვაში.

სამოქალაქო საზოგადოება არ უნდა გავიგოთ, როგორც ორგანულად გაერთიანებული და წინასწარ ჩამოყალიბებული სტრუქტურის მქონე მექანიზმი, რომელიც იმართება ერთი რომელიმე ორგანოს მიერ. სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული გაერთიანებები და ასოციაციები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ორგანიზაციები არსებობენ დამოუკიდებლად, მოქმედებენ საკუთარი პროგრამებით, თანამშრომლობისა და მეტოქეობის ატმოსფეროში. სამოქალაქო საზოგადოება საფუძველშივე გამოხატავს კერძო ინდივიდთა ინტერესებს, იგი არ ექვემდებარება რომელიმე იდეოლოგიას. სამოქალაქო საზოგადოებას არ გააჩნია ძალაუფლება, იგი ვერ შეცვლის ხელისუფლებას, მაგრამ გააჩნია უფლება და საშუალებები ამხილოს ხელისუფლების არაკანონიერი, არადემოკრატიული მოქმედების ფაქტები და დაიცვას პიროვნების, მოქალაქის ღირსებები და კანონიერი უფლებები. სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებული ფორმებითა და მეთოდებით ამ საზოგადოების ინსტიტუტები ზემოქმედებას ახდენენ ხელისუფლების საქმიანობაზე. ზემოქმედების ფორმებიდან მიმართავენ მშვიდობიან მანიფესტაციებსა და მსვლელობებს, რეკომენდაციებსა და საპროტესტო განცხადებებს. მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოებაში ხელისუფლებაზე ზემოქმედების ფორმები მშვიდობიანია და არა რადიკალური, ძალისმიერი.

ოფიციალური ხელისუფლებისაგან განსხვავებით სამოქალაქო საზოგადოება საშუალებას აძლევს მოქალაქეს სრულად გამოავლინოს თავისი უნარი და შესაძლებლობები, იბრძოლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. ეს ფუნქცია

სახელმწიფოსაც ეკუთვნის, მაგრამ მისგან განსხვავებით სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ნიშანი და მიზანი სწორედ ეს არის – თითოეული მოქალაქის ღირსების, უფლების, შემოქმედებითი უნარისა და მისწრაფების დაცვა, პიროვნებისეული თვისებებისა და მიდრეკილებების სრულყოფილად გამოვლენა და მათი ჰარმონიული განვითარება.

სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის, პიროვნების მოქალაქედ ჩამოყალიბების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა და ამდენად, რამდენადაც ძლიერი და სრულყოფილი იქნება სამოქალაქო საზოგადოება, იმდენად თავისუფალი, ინიციატივიანი და ყოველმხრივ განვითარებული იქნება მოქალაქე, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის შემოქმედი და მონაწილე.

დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება

სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილება ქმნის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის საფუძვლებს. დემოკრატიამ, როგორც ხალხის ძალაუფლების ფორმამ, გააუქმა კლასობრივ – წოდებრივი შეზღუდვები, დააკანონა ადამიანთა თავისუფლება და თანასწორობა, მოსპო პოლიტიკური და სოციალური პრივილეგიები. თანამედროვე სამყაროში პოპულარული გახდა კონსტიტუციური დემოკრატია, როგორც სახელმწიფო მმართველობის მისაღები ფორმა. დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუცია აღიარებს დემოკრატიის ძირითად პრინციპებს, ქმნის მათი დაცვისა და რეალიზაციის ოპტიმალურ პირობებს. სწორედ კონსტიტუცია გვევლინება სახელმწიფოში დემოკრატიის დამკვიდრებისა და კანონიერების დაცვის გარანტად. დემოკრატიული სახელმწიფოსათვის ნიშანდობლივია ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია კანონით. მისი ფუნქციები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულებითი რეგლამენტირებულია კანონით. დემოკრატიული წყობილება ამკვიდრებს თავისუფლებასა და პლურალიზმს. ხელისუფლების კრიტიკა შეზღუდულია და არ ისჯება კანონით, დემოკრატია ემყარება უმრავლესობათა ნებას, მაგრამ არ ზღუდავს ეროვნულ და სხვა სახის უმცირესობათა უფლებებს. დემოკრატიული წყობილება აკანონებს მოქალაქეთა თავისუფლებას და ახალისებს კერძო ინიციატივას. თავისუფალ მოქალაქეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებისა და ინტერესების გათვალისწინებით შექმნან ნებაყოფლობითი გაერთიანებები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და გაერთიანებებს, ასოციაციებსა და ორგანიზაციებს თავიანთი ფუნქციების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ დემოკრატიული მმართველობის სისტემის პირობებში. ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა ემყარება ცალკეულ პირთა ნებაყოფლობისა და კოლექტიური გადაწყვეტილებების პრინციპს. აზრთა სხვადასხვაობა და მათი გამოხატვის საშუალებები აძნელებს ერთსულოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. ის გარემოება, რომ სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო ხელისუფლებას ერთიმეორისაგან განსხვავებული მიზნები და ფუნქციები გააჩნიათ, არ გამორიცხავს მათს

თანამშრომლობასა და ნორმალურ ურთიერთობას. დემოკრატიულ სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს კონსტიტუცია და მისი შესატყვისი საკანონმდებლო აქტები. სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ერევა სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურათა საქმიანობაში, როდესაც ეს უკანასკნელნი არღვევენ კანონს და პირიქით – სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო სტრუქტურებზე მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. სამოქალაქო საზოგადოების მოქალაქე თავისუფალი ადამიანია, იგი აღიარებს კანონის უზენაესობას და ემორჩილება მას.

დღეისათვის საქართველოში შექმნილია დაახლოებით 2000 – მდე არასამთავრობო ორგანიზაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ ასეთი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოებაში, მოქალაქეთა პირადი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ჩვენ გაგაცნობთ ზოგიერთი მათგანის საქმიანობას:

საერთაშორისო საზოგადოება «სამართლიანი არჩევნები» – არასამთავრობო, არაპარტიული ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 1995 წლის სექტემბერში. ამ ორგანიზაციის მიზანია საქართველოში დემოკრატიული პოლიტიკური პროცესებისათვის ხელის შეწყობა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების შექმნა; სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და მართვაში მოქალაქეთა ჩაბმა და მათი სამოქალაქო განათლება; ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი მეთვალყურეობის სისტემის ჩამოყალიბება. «სამართლიანი არჩევნები» თანამშრომლობს სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო სადამკვირვებლო მოძრაობაში. მისი მთავარი პარტნიორია აშშ –ის საერთაშორისო საქმეთა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), რომელიც საკონსულტაციო და ფინანსურ დახმარებას უწევს საზოგადოებას.

საზოგადოება «სამართლიანი არჩევნები» სერიით «სამოქალაქო განათლების ბიბლიოთეკა» გამოსცემს ბროშურებს. გამოსულია რამოდენიმე დასახელება: «რა არის სამოქალაქო საზოგადოება!», «საუბარი ადამიანის უფლებებზე», «არჩევნები დემოკრატიულ საზოგადოებაში» და სხვა. 1997 წლის ივნისიდან გამოსცემს ბიულეტენს «სამოქალაქო საზოგადოება» (გამოსულია 12 ნომერი).

არასამთავრობო ორგანიზაცია «ადამიანის უფლებათა თბილისის საერთაშორისო სკოლა» შეიქმნა 1997 წლის სექტემბერში «ადამიანის წამების საწინააღმდეგო ქართული კომიტეტისა» და ფონდის «მეცნიერება და განათლება სიცოცხლისათვის» მიერ. ამ სკოლაში მიწვეულნი არიან «საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის» წევრები, რომლებიც არიან ჯგუფის «სამართლის წრეები სკოლაში» წევრები. წრის მუშაობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებების სწავლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ლიცეუმებში საზოგადოებრივ საწყისებზე (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, მცხეთა). წრის წევრები სკოლებში და ლიცეუმებში ასწავლიან საქართველოს კონსტიტუციას, «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას», «ბავშვთა უფლებების კონვენციას», აცნობენ საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურებს, ფუნქციებს და მოღვაწეობას.

«მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი» არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციაა (დაარსდა 1992 წლის სექტემბერში). მისი მიზანია ხელი შეუწყოს პლურალისტურ დისკუსიებს, იმ გამოკვლევებსა და პუბლიკაციებს, რაც დემოკრატიულ გარდაქმნებს, სამშვიდობო პროცესებსა და ეკონომიკურ განვითარებას წაადგება. მისი საქმიანობა ძირითადად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებით შემოიფარგლება.

სამოქალაქო განათლების არსი

ბიბლიოთეკები მათი არსებობის პერიოდიდან ყოველთვის ასრულებდნენ აღმზრდელობით, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ფუნქციებს. ამ ამოცანების გადასაწყვეტად მათ გააჩნიათ წიგნი, ინფორმაციის წყარო, რომელიც თავისთავად ობიექტურად ფლობს აღზრდისა და განათლების ფუნქციებს. ბიბლიოთეკა საზოგადოების ორგანული ნაწილია. იგი მისი სულიერი საგანძურის არა მარტო შემნახველი და პატრონია, არამედ მისი მეხსიერების გამდიდრების, სულიერი პროგრესის მძლავრი საშუალებაა. თანამედროვე ბიბლიოთეკები აქტიურ როლს ასრულებენ მოქალაქეთა ინფორმატიზაციის განათლებისა და პროფესიული ზრდის საქმეში. ამ ამოცანების რეალიზაციის გზაზე აუცილებელია თვითონ ბიბლიოთეკარი ერკვეოდეს სამოქალაქო განათლების არსში, მის სტრუქტურაში და ასეთი განათლების მიღების აუცილებლობაში.

სამოქალაქო განათლება, როგორც ადამიანთა ყოველმხრივი განათლების ნაწილი, ხანგრძლივი პროცესია, რომელიც აცნობს მოქალაქეებს დემოკრატიული საზოგადოებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლებს. თვით მოქალაქე კი არის ის პირი, ვინც ამა თუ იმ სახელმწიფოს ძირითად კანონში განსაზღვრული ყველა უფლებითა და ვალდებულებებით სარგებლობს.

ადამიანის უფლებების საერთო დეკლარაციაში (მუხლი 21.1.) ნათქვამია: «ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა – გამგეობაში – ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით». დემოკრატია ნიშნავს ხალხის ძალაუფლებას და შესაბამისად ადამიანის უფლებებსაც. ადამიანის უფლებები – ეს არის კანონები, რომლებიც მიზნად ისახავს ყოველი ადამიანისათვის უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველყოფას. ისინი განსაზღვრავენ, აგრეთვე, ცხოვრების დონის ნორმებს, რომელიც გარანტირებული უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს.

მოქალაქე, რომელიც უკვე გათვითცნობიერებულია კანონებში თავისუფლად შეუძლია, როგორც თავისი უფლებების აქტიურად დაცვა, ასევე ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი მეთვალყურეობის დამკვიდრება, მისი მონიტორინგი (დაკვირვება). ამასთანავე, მას შეუძლია ამხილოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ხელისუფალთა და თანამდებობის პირთა მიერ. ადამიანი მოქალაქეობის მიღებით კისრულობს გარკვეულ ვალდებულებებს სახელმწიფოს მიმართ (მაგ. გადაიხადოს გადასახადები, გარკვეული ვადით იმსახუროს სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებში და სხვ.). თავის მხრივ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას დაიცვას თავისი

მოქალაქის უფლებები ნებისმიერი ხელყოფისაგან შინაგანი თუ გარეგანი ძალების მიერ, აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება, რომელიც მისთვის კანონითაა გათვალისწინებული.

დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება ადამიანის უფლებების პატივისცემას, რომელიც ცხადია, თავისთავად არ წარმოიშვება. აუცილებელია ცოდნა, ხოლო შემდეგ ამ ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რა უნდა შედიოდეს განათლებული ადამიანის, როგორც მოქალაქის კომპეტენციაში?

უპირველეს ყოვლისა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი უფლებები და მართებულად იყენებდეს ამ უფლებებს თავისი თავისა და საზოგადოების სასარგებლოდ. ამიტომ, ადამიანის უფლებები სამოქალაქო განათლების ერთ –ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. გარდა ამისა, მოქალაქე უნდა ფლობდეს თავისი ქვეყნის სამართლის საფუძვლებს და იყენებდეს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსაც. მოქალაქე უნდა ერკვეოდეს თავისი ქვეყნის წყობაში, პოლიტიკური პარტიების მიერ შემოთავაზებული სოციალურ – ეკონომიური განვითარების მოდელების ავ – კარგში და შეეძლოს გონივრული არჩევანის გაკეთება. ამგვარად, სამოქალაქო განათლების საკითხები მოიცავს ადამიანის უფლებებს, არჩევნებს, კონსტიტუციას, სამართალმცოდნეობას, გარემოს დაცვას. ყველა ჩამოთვლილი კომპეტენციის რეალიზაცია მოქალაქეების მიერ უნდა ხერხდებოდეს მასში სასარგებლო უნარ – ჩვევებისა და ქცევითი ნორმების ჩამოყალიბებით. უპირველეს ყოვლისა ეს არის საჭირო ინფორმაციის თავად მოპოვების, მისი ანალიზის, მოპოვებული ცოდნისა და მიღებული დასკვნების გამოყენების უნარი. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს პრობლემის დანახვისა და მისი გადაჭრის გზების მოძებნის უნარი. ის უნდა ახერხებდეს კონფლიქტების არიდებას და მათ გადალახვას.

მოქალაქეს უნდა შეეძლოს თავისი პოზიციების წარმოჩენა და დაცვა, როგორც საკუთარი კეთილდღეობის, ისე ზნეობრივი ღირებულების დამკვიდრების მიზნით. ამისათვის მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ნაყოფიერი თანამშრომლობის უნარი და მისი ქცევა შემწყნარებლური უნდა იყოს. შეგნებული, განათლებული ადამიანი, რომელიც იმავე დროს აღჭურვილია თავისი უფლებებისა და მოვალეობის ცოდნით, ყოველთვის ცდილობს დაიცვას საზოგადოებაში ქცევის ეთიკური ნორმები. სამოქალაქო განათლება ამავე დროს ნიშნავს მოქალაქის აქტიურ პოზიციას, როგორც საკუთარი, ასევე საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.

ყოველგვარი ცოდნა და ჩვევები ყოველდღიური და მრავალწლიანი შრომის შედეგია. მოქალაქის აღზრდა ადრეული ასაკიდან იწყება. ბავშვი, როგორი მოქალაქე აღიზრდება წესიერი თუ განებივრებული, კეთილი თუ ეგოისტი, ცნობისმოყვარე თუ გულჩათხრობილი, ეს მშობლებზე, პედაგოგებზე და საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

ადამიანის, მოქალაქის ხასიათი ძირითადად ადრეულ ასაკში ყალიბდება. ამ მხრივ განუზომელია, სკოლამდელი ასაკის დაწესებულებების, სკოლებისა და ბიბლიოთეკების როლი, სადაც დიდი ადგილი ეთმობა ნორჩების გონებრივი ძალების, მეტყველების, ზნეობრივი თვისებების, ხასიათის ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, ბუნებასთან და ადამიანებთან ურთიერთობის მეშვეობით, ბავშვებს აცნობენ გარე

სამყაროს, სხვადასხვა თამაშობათა და მეცადინეობათა გზით უნერგავენ შრომის ჩვევებსა და პატივისცემას. ხატვისა და ძერწვის, მხატვრული ლიტერატურის კითხვითა და თხრობით, სიმღერითა და მუსიკით, საფუძველს უყრიან მხატვრული გემოვნების გამომუშავებას. აჩვევენ მათ საზოგადოებრივ წესრიგს, თანტოლებისა და უფროსების წრეში თავის დაჭერას, მშობლების პატივისცემას, უნერგავენ თავისი ქვეყნის, ხალხის სიყვარულს. ყველაფერი ეს ხელს უწყობს პატარა მოქალაქეების ჩამოყალიბების პროცესს. მაგრამ სკოლამდელ ასაკში არ მთავრდება მოქალაქის აღზრდა. პირიქით, ამ ასაკში იწყება მისი მოქალაქედ აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესი. მოზარდი სწორედ ამ ასაკიდან ეცნობა ბავშვთა და საერთოდ ადამიანთა საზოგადოებაში ქცევის ნორმებს. აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის ბიბლიოთეკებიც, მოზარდს აცნობენ სამართლებრივ ნორმებს, იმას, თუ რისი გაკეთების უფლება აქვს მას და რა ეკრძალება. ამ მხრივ ნაყოფიერი მუშაობის წარმართვა დიდადაა დამოკიდებული სკოლის, მშობლებისა და ბიბლიოთეკების ერთობლივ, კოორდინაციულ მუშაობაზე.

დემოკრატიის განვითარების პროცესის ერთ–ერთი ხელშემწყობი პირობაა სამოქალაქო განათლების აუცილებლობა.

სამოქალაქო განათლება მოწოდებულია ხელი შეუწყოს ინფორმირებული და აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას. ამ განსაზღვრებაში რამდენიმე ცნებაა ჩადებული, რომლებიც ცალკე განსაზღვრას მოითხოვს:

<u>ინფორმირებულობა ნიშნავს</u> ინფორმაციის არსებობას საკუთარი და სხვების უფლებების შესახებ. აგრეთვე, იმ გზებსა და საშუალებებზე, რაც ამ უფლებათა ეფექტური რეალიზაციის საშუალებას იძლევა.

<u>აქტიურობა ნიშნავს</u> მოქალაქის რწმენას, რომ მას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ცვლილება ნებისმიერ დონეზე, რომ იგი არის საზოგადოების მოქმედი წევრი და ძალუძს დაიცვას თავისი სამოქალაქო და სხვა უფლებები, სხვათა უფლებებისა და ქვეყანაში მიღებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით.

<u>მოქალაქე განიხილება</u> როგორც პიროვნება, რომელიც ლოიალურია სახელმწიფოსადმი, რომლის საფუძველს თავად წარმოადგენს. ამრიგად, იგი სახელმწიფოს შიგნით იცავს საკუთარ ინტერესებს, საკუთარი უფლებებისა და დემოკრატიული პრაქტიკის გამოყენებით, ხოლო საერთაშორისო, გლობალურ დონეზე – საკუთარ და საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს, რადგან ეს უკანასკნელი პიროვნული ინტერესების საერთაშორისო გარანტს წარმოადგენს.

სამოქალაქო განათლების კონკრეტული მიზნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1) მოქალაქის ყოველმხრივი ინფორმირება მისი უფლებებისა და ამ უფლებათა დაცვის საშუალებებზე, მის რეალიზაციაზე;

2) ისეთი უნარ – ჩვევების აღზრდა მოქალაქეებში, რომლებიც მას შეაიარაღებენ აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის დასაკავებლად;

3) თვითეული მოქალაქისათვის გაცნობა იმ იურიდიული და ნორმატიული აქტებისა, სადაც განსაზღვრულია მათი უფლებები, მოვალეობები. ეს უპირველეს ყოვლისა არის კონსტიტუცია და ყველა ის საკანონმდებლო აქტი, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქის უფლებებს, მოვალეობებს, ქცევის ნორმებს და სხვ.;

4) სამოქალაქო განათლების ერთ-ერთ მიზანს შეადგენს თითოეული მოქალაქის აღჭურვა საერთაშორისო სამართლებლივი ნორმების ცოდნით, როგორიცაა: «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია», «კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ» და სხვა.

დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ელემენტია პარლამენტის არჩევნები, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართვას სახელმწიფოს მართვაში მხოლოდ გარკვეული პერიოდით. ამ დროს ხდება პრობლემების მიტანა მმართველობამდე და მათი გაზიარება ამ უკანასკნელის მიერ. მაგრამ, მოქალაქეებს პრობლემები მხოლოდ არჩევნების პერიოდში არა აქვთ. დღეს ჩვენი საზოგადოება სრულიად ახალ რეალობაში ცხოვრობს. წარსულს ჩაბარდა ყველაზე და ყველაფერზე «მზრუნველი» სახელმწიფო, გაიზარდა მოქალაქეების თავისუფლების ხარისხი. რიგი პრობლემების გადაჭრა დღეს მოქალაქეებს თვითონ უხდებათ. ამისათვის განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში მოქალაქეები სხვადასხვა სახის არასამთავრობო გაერთიანებებსა და ჯგუფებს ქმნიან. სამოქალაქო საზოგადოება ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლიობაა.

არასამთავრობო არის ორგანიზაცია, რომელიც არ არის კომერციული, ანუ ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია და რომელიც მოწოდებულია ძირითად საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. ასეთი პრობლემები ყველა ქვეყანაში ბევრია და საკმაოდ მრავალფეროვანი (მაგ. მოზარდი თაობის დასაქმება, ეკოლოგიური პრობლემები, საგანმანათლებლო საქმიანობა, კონკრეტული კანონის შემუშავებაში მონაწილეობა და ა.შ.)

საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითად მიზანს წარმოადგენს აღზარდოს მოქალაქეები არა მარტო სამოქალაქო განათლების მეშვეობით, არამედ თავიანთი საქმიანობითაც. ისინი უნდა დაეხმარონ ადაიანებს ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში. ადამიანებმა უნდა იგრძნონ რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა და მათში მონაწილეობა კერძო ინტერესების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

სამოქალაქო საზოგადოება საშუალებას იძლევა ყოველი ჩვენგანი ჩაერთოს იმ პროცესში, რომელიც მას აინტერესებს და აწუხებს. თანამედროვე კომუნიკაციური საშუალებების წყალობით, ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია დაუკავშირდეს მისთვის საინტერესო მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა ინტერესების არსებობა. საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ადამიანის ინტერესებს, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია საზოგადოების უპრობლემო არსებობისათვის. რა თქმა უნდა, უპრობლემო საზოგადოება არ არსებობს, მაგრამ სამოქალაქო განათლება საშუალებას იძლევა ადამიანი ნათლად ერკვეოდეს პირად და საზოგადოებრივ პრობლემებში, ამასთან უნდა ეცადოს პირადი პრობლემებისათვის ბრძოლაში არ დააკნინოს საზოგადოებრივი ინტერესი. ამასთანავე საზოგადოება მხოლოდ იმ ინტერესთა დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს არ ეწინააღმდეგება.

რაც უფრო მეტია და მრავალფეროვანი ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციათა რიცხვი, მით უფრო დემოკრატიულია საზოგადოება.

ბიბლიოთეკის როლი სამოქალაქო განათლებაში

საქართველოში, როგორც დემოკრატიის გზაზე შემდგარ ქვეყანაში, თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ბიბლიოთეკების როლისა და ადგილის განსაზღვრა საზოგადოებაში. ბიბლიოთეკების ტრადიციული, ორგანული ფუნქცია და ამოცანა: აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო, ინფორმაციული, დღეს სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. თანამედროვე ეტაპზე წინ წამოიწია ბიბლიოთეკების სოციალურმა ფუნქციებმა. თანამედროვე საზოგადოება ხასიათდება მკვეთრი დიფერენციაციით, გამძაფრებულია მოსახლეობის სოციალური პრობლემები. თვითონ მოსახლეობა აყენებს სასიცოცხლო ამოცანების პრიორიტეტულ გადაწყვეტას. ასეთ პირობებში დღის წესრიგში არანაკლები მნიშვნელობით დგება მორალური და სულიერ – კულტურული ღირებულებისადმი დამოკიდებულება, ასეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობა. მოქალაქეთა დიდი ნაწილი ვერ ერკვევა და არც აქვს საშუალება, რომ მიიღოს დროული ინფორმაცია საკუთარ უფლებებსა და ამ უფლებების დაცვის საშუალებებსა და ფორმებზე.

ბიბლიოთეკა და განსაკუთრებით მასობრივი ბიბლიოთეკები, არ უნდა დარჩნენ ტრადიციული ფორმების ტყვეობაში. მასობრივ ბიბლიოთეკებს აქვთ მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან მუშაობის დიდი გამოცდილება. ტრადიციულ ფორმებში ახალი შინაარსი, ახალი მიმართულებები უნდა იქნეს გააზრებული. ბიბლიოთეკა, როგორც საზოგადოების სულიერ ღირებულებათა და ზოგად საკაცობრიო ცოდნის ორგანიზებული მცველი (შემნახველი), ტექნიკური ცივილიზაციის პირობებში რჩება პიროვნების დამოუკიდებელი, განუწყვეტელი განათლების მძლავრ საშუალებად.

ბიბლიოთეკები, რომლებიც ყოველდღიურად ემსახურებიან სხვადასხვა კატეგორიის მკითხველებს, გვევლინებიან როგორც საზოგადოების სულიერი პროგრესის აქტიური მამოძრავებელი ძალა, ამდენად ისინი პრაქტიკულად მიჩნეულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელ, ორგანულ ნაწილად. დღეს, როდესაც ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველთა დიდი ნაწილი დაკავებულია ე.წ. «საქმიანი კითხვით», ბიბლიოთეკარი ვალდებულია ტაქტიანი პედაგოგიური მიდგომით გააცნოს მათ საზოგადოებაში, ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები, ის სოციალური პრობლემები, რომელთა დადებითად გადაწყვეტა თითოეულ მათგანს აინტერესებს და აღელვებს. ეს ამოცანები რომ შეასრულოს, საჭიროა, ბიბლიოთეკარი თვითონ ერკვეოდეს სახელმწიფო წყობილების სტრუქტურაში, იცოდეს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოთა საქმიანობა, ის დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ამ ორგანოთა საქმიანობას, ამასთან, ბიბლიოთეკარი შესაძლებლობას არ უნდა უშვებდეს ხელიდან, მოაგროვოს და სისტემაში მოიყვანოს დოკუმენტური მასალა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ. ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციები მოქმედებენ კონსტიტუციის ფარგლებში; მათ მიზანს შეადგენს საზოგადოების განათლება, განვითარება, იურიდიული ცოდნის

პოპულარიზაცია, ადამიანის უფლებების წარმოჩენა და ბრძოლა მათი რეალიზაციისათვის. ბიბლიოთეკაში მოსული მკითხველი თვითონ ეძებს სიახლეებს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ – პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენების შესახებ. პიროვნება ხშირად დგება პოლიტიკური არჩევანის წინაშე: საით წავიდეს, რომელ პარტიას თუ ბლოკს, მიმდინარეობას მიემხროს. პიროვნების ყოველმხრივი ინფორმირება ასეთი მოვლენების შესახებ, შეუძლია მხოლოდ ბიბლიოთეკას, რომელსაც გააჩნია სისტემატიზებული ინფორმაცია მათი მიმდინარეობის შესახებ.

მკითხველთა სამართლებრივი აღზრდა, მათი სამართლებრივი კულტურის ფორმირება ბიბლიოთეკების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემათაგანია თანამედროვე ეტაპზე.

ცნობილია, რომ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება ძირითადად ხორციელდება მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების საქმიანობის შესახებ. ასეთი ინფორმაცია გამოქვეყნებული სახითაც კი უნდა იქნეს დაცული ბიბლიოთეკებში, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს დაინტერესებული მკითხველისათვის.

ამრიგად, ბიბლიოთეკა სულ უფრო აქტიურად ებმება საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარე პროცესებში და ფლობს რა აღზრდისა და განათლების მძლავრ საშუალებებს, გარკვეულ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. თუ ვიმსჯელებთ მასობრივი ბიბლიოთეკების თანამედროვე მდგომარეობაზე, მათ დიდ ნაწილს ასეთი ამოცანის შესრულება არ შეუძლია. ბიბლიოთეკებში უკანასკნელი რვა-ცხრა წლის მანძილზე არ შესულა ახლად გამოცემული ლიტერატურა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად დაქვეითდა ბიბლიოთეკების პრესტიჟი და გავლენა მოსახლეობის წიგნზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიმართულებით. მიუხედავად ასეთი გარემოებებისა, ბიბლიოთეკებში არ შეწყვეტილა შიდასაბიბლიოთეკო პროცესების დახვეწისა და მათი რაციონალური ორგანიზების სამუშაოები. ბიბლიოთეკებში ჩატარდა საბიბლიოთეკო ფონდების დეპოლიტიზაციის სამუშაოები, გაიხსნა ყადაღადადებული სპეციალურ საცავთა ფონდები, ბიბლიოთეკებში დაცული ყველა სახის დოკუმენტი თანაბრად ხელმისაწვდომი გახდა მკითხველთა ჯგუფებისათვის.

სამოქალაქო საზოგადოებაში ბიბლიოთეკები წარმოადგენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ – ერთ საშუალებას და ისეთ დაწესებულებას, სადაც მკითხველი, თითოეული სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი ღებულობს ინფორმაციას მისთვის აუცილებელ და სასიცოცხლო საკითხების შესახებ. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები და ბიბლიოთეკებში გარკვეულწილად გამოდიან პარტნიორების როლში; თუ სახელმწიფო, რეგიონალური მმართველობა ვალდებულია შეინახოს ბიბლიოთეკა, ეს უკანასკნელიც ასევე ვალდებულია საქმით დაადასტუროს თავისი არსებობა და საზოგადოების თვალში წარმოჩნდეს როგორც მოსახლეობის ინფორმირებისა და მათი სოციალური ინტერესების აქტიური დამცველი.

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის ერთ – ერთი პირობათაგანია ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შესახებ მოქალაქეთა უფლებების დაცვა და ხელისშეწყობა. ასეთი უფლებების რეალიზაციისათვის საქართველოს რესპუბლიკამ მიიღო კანონი «პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ», (1991 წლის 10 აგვისტოს), რომელთა რეალიზაციაში ბიბლიოთეკებმა უნდა შეასრულონ გადამწყვეტი როლი. თვითონ ბიბლიოთეკები თავიანთი განვითარების ყველა ეტაპზე წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს. ამჟამად უფრო აქტუალური გახდა მკითხველთა და საერთოდ მოსახლეობის უზრუნველყოფა სოციალური შინაარსის ინფორმაციით. ამასთან, ქვეყნის გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე წინ წამოსწია ისეთი პრობლემების ინფორმაციული უზრუნველყოფა, როგორიცაა: სამართალი და ბიზნესი, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, საბაზრო ეკონომიკა და მარკეტინგი, ეკოლოგიური და რელიგიური განათლება, რეგიონალური მმართველობა და სხვ. აღნიშნულ პრობლემათა ინფორმაციული უზრუნველყოფა შეადგენს ბიბლიოთეკების სოციალურ ამოცანას მოსახლეობის სამოქალაქო განათლების პროცესში. ბიბლიოთეკების აქტიური მონაწილეობის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად დაეცა (შემცირდა) მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. მათ არა აქვთ ეკონომიური საშუალება საკუთრებაში იქონიონ ახალი ინფორმაციის წყაროები, ამასთან წიგნის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა; ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამაღლებს ბიბლიოთეკების პასუხისმგებლობას სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო – ბიბლოგრაფიული უზრუნველყოფის საქმეში.

მასობრივი ბიბლიოთეკები თავიანთი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით ერთგვარად ხელს უწყობენ სტაბილიზაციის შენარჩუნებას ქვეყანაში, საზოგადოებაში არსებული სოციალური დაძაბულობის შენელებას. მათ მოთმინებით უნდა განუმარტონ მოსახლეობას არსებული სიძნელეების სოციალური მხარის მიზეზების შესახებ; მოსახლეობა, ადგილობრივი სპეციალისტები დროულად უნდა იქნენ ინფორმირებულნი ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის შესახებ.

იმ მიზნით, რომ ბიბლიოთეკებმა უფრო მეტად შეუწყონ ხელი სამოქალაქო განათლების პროცესს, მათ მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ისინი თავიანთი საქმიანობით, ლიტერატურის გამოცემით, დისკუსიების მოწყობითა და სხვა ფორმებით ხელს უწყობენ მოსახლეობის სამოქალაქო განათლების პროცესს, ფაქტიურად აყალიბებენ დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობის საფუძვლებს. ბიბლიოთეკების მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გამოირჩეოდეს ოპერატიულობით; მომსახურების ტრადიციულ ფორმებთან ერთად, აქტიურად უნდა გამოიყენონ 90-იანი წლების შემდეგ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში მიღებული ფორმები: წიგნის პრეზენტაციები, შეხვედრები ავტორებთან, დიალოგი, მრგვალი მაგიდა; თანამედროვე ბიბლიოთეკები, განსაკუთრებით სპეციალური და უნივერსალური ბიბლიოთეკები, გამოირჩევიან მომსახურების მრავალფეროვნებით. ასეთი ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი ფლობს ინფორმაციის მატარებელ არატრადიციულ წყაროებს.

მასობრივი ბიბლიოთეკები, რომელთა დიდ ნაწილს თანამედროვე ეტაპზე არ გააჩნია ახალგამოცემული იურიდიული და საერთოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმატიული დოკუმენტები, პირველ რიგში უნდა შეეცადნენ ასეთი მასალის მოპოვებისათვის კავშირი დაამყარონ ადგილობრივი, რეგიონალური მმართველობის ორგანოებთან. ამ ორგანოთა ხელმძღვანელი პირები შედარებით მეტ ინფორმაციას ფლობენ ოფიციალური ხელისუფლების მიერ გამოცემული სათანადო დოკუმენტების შესახებ. ასეთი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოცემული მასალები დაუყოვნებლად უნდა გახდეს ბიბლიოთეკის ზრუნვის საგანი. ისინი დროულად უნდა აისახოს ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატში და ინფორმაცია მიეწოდოს მკითხველს მისი არსებობის შესახებ.

ამ მიზნით მასობრივი ბიბლიოთეკები იყენებენ ტრადიციული მასობრივი ღონისძიებებიდან: მიმოხილვებს, ინფორმაციის დღეს, სპეციალისტის დღეს. არ არის აუცილებელი ერთდროულად თავი მოვუყაროთ მკითხველთა დიდ რაოდენობას. სამოქალაქო განათლებისადმი მოთხოვნილება თვითონ მკითხველებს უჩნდებათ. საჭიროა მიეჩვიონ იმ აზრს, რომ სწორედ ბიბლიოთეკიდან შეუძლიათ უფასოდ მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია საკუთარი უფლებების დაცვისა და იმ მოვალეობათა შესახებ, რომელთა შესრულება მათთვის, როგორც საზოგადოების წევრებისათვის, სავალდებულო და აუცილებელია.

მასობრივი და სხვა ტიპის ბიბლიოთეკები (სასკოლო, სპეციალური, სამეცნიერო და სხვ.) ამჟამად ფუნქციონირებენ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე; მათ საქმიანობას ჩამოსცილდა პარტიული, იდეოლოგიური, ტენდენციური მიმართულება. პარტიული დოქტრინისაგან განთავისუფლებული ბიბლიოთეკები სულ უფრო ახლოს მიდიან მოსახლეობის სხვადასხვა ფენების, სხვადასხვა ჯგუფების მკითხველებთან, ინდივიდუალური მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე მეტად მიღებული ფორმათაგანია საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. ეს ფორმა წარმატების მომტანია სამოქალაქო განათლების პროცესის ეფექტური წარმართვისათვის. ბიბლიოთეკარი ყოველმხრივ უნდა სწავლობდეს თითოეული მკითხველის სოციალურ მდგომარეობას, მის ინტერესს, იმ პრობლემებს, რომლებიც მას აწუხებს და რომელთა გადაჭრაში ბიბლიოთეკებს შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს, ურჩიოს, დაუსახელოს შესაბამისი ინფორმაციის წყარო, მიუთითოს მათი მოპოვების გზები და საშუალებები.

სამოქალაქო განათლების ფუნქცია რომ შეასრულოს, ბიბლიოთეკას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააჩნდეს შესაბამისი მასალები, ლიტერატურა, იურიდიული და ნორმატიული დოკუმენტების ფონდი. დიდ ბიბლიოთეკებში, სადაც ამის საშუალებები არსებობს, ქმნიან ასეთი დოკუმენტების მონაცემთა ბაზებს, სარგებლობენ სხვა ბიბლიოთეკების შესაბამისი ბაზებით არა მარტო ქვეყნის ფარგლებში, არამედ მის გარეთაც.

მასობრივ ბიბლიოთეკებს თანამედროვე ეტაპზე არ გააჩნიათ პირობები იქონიონ ასეთი მასალები სრულყოფილი ფორმით; სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ამსახველი მასალები და ის ნორმატიულ – იურიდიული ლიტერატურა, რომლებიც ადამიანთა უფლებების დაცვას ეხება, ძირითადად გამოქვეყნდა უკანასკნელი ხუთი – ექვსი წლის პერიოდში.

მასობრივ ბიბლიოთეკებს უპირველესად უნდა გააჩნდეთ სახელმწიფო კონსტიტუცია (მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს), შესაძლებლობის ფარგლებში შეიძინონ ადამიანის უფლებების დაცვის საკანონმდებლო მასალები (მათი ერთი ნაწილი დაერთვის წინამდებარე ნაშრომს). მათი პოპულარიზაციის მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში აპრობირებული ფორმები და საშუალებები.

მკითხველებთან მუშაობის ახალი ფორმებიდან ბიბლიოთეკები მიმართავენ ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, როგორებიცაა: **<u>წიგნების პრეზენტაცია</u>**, ეს ღონისძიება ავტორის თანდასწრებით ტარდება, ძირითადად ეხება ახალგამოცემულ წიგნს, სადაც შეფასება ეძლევა ნაშრომს.ბიბლიოთეკარებმა ამ პროცესში შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინოება და ზეპირი ინფორმაციის ფორმები.

ბევრი ბიბლიოთეკა აწყობს **<u>ღია კარის დღეს,</u>** ამ დროს მკითხველები, სპეციალისტები ეცნობიან ბიბლიოთეკას, მის საშუალებებს, ფონდებს, საცნობარო აპარატის სტრუქტურას, სიახლეებს, აყენებენ თავიანთ წინადადებებს, პრობლემებს. ბიბლიოთეკისათვის ეს კარგი საშულებაა ახლოს გაეცნოს მკითხველებს, მათ სოციალურ მდგომარეობას, ისაუბროს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, შეხვდეს ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების წარმომადგენლებს.

ბიბლიოთეკები მოწოდებულნი არიან მუდმივად იზრუნონ საზოგადოებრივი აზრის განახლებისათვის, მკითხველთა ინფორმაციული კულტურის ფორმირებისათვის. ამ მიზნით საბიბლიოთეკო მუშაობის ნებისმიერი ფორმა და საშუალება გამართლებულია, თუ იგი გარკვეულ ეფექტს მოიტანს. აპრობირებული და არატრადიციული ფორმების შერწყმა დამოკიდებულია ბიბლიოთეკარის შემოქმედებით უნარზე, მის პროფესიონალიზმზე.

მკითხველებში სამართლებრივი კულტურის აღზრდის მიზნით ბიბლიოთეკარები აწყობენ გამოფენებს, მართავენ დიალოგებს, მრგვალ მაგიდებს; მაგრამ ყველაზე მეტად საჭიროა მკითხველებთან ინდივიდუალური მუშაობა, მათთან საუბარი, მათი ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესწავლა. ბიბლიოთეკებში თავმოყრილი უნდა იქნეს მასალები **<u>ადგილობრივი თვითმმართველობის</u>** შესახებ; ასეთი დოკუმენტები შეიძლება გამოიყენონ გამოუქვეყნებელი სახით. ამით ბიბლიოთეკები აქტიურად შეუწყობენ ხელს რეგიონალური საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარებას, კანონის ამოქმედებას და დაცვას. სამართლებრივი კულტურის აღზრდა ძირითადი ფორმათაგანია ბიბლიოთეკებისათვის სამოქალაქო განათლების პროცესის მიზანშეწონილი და ეფექტური წარმართვისათვის.

ბიბლიოთეკებმა მოსახლეობას უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ნორმატიულ – საკანონმდებლო, სოციალურ – კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების შესახებ. მკითხველი დროულად უნდა იქნეს ინფორმირებული ადგილობრივი ბიუჯეტის, საგადასახადო სისტემისა და პოლიტიკის, განათლების და სხვ. პრობლემების შესახებ, რათა ადვილად შეძლოს საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებში გარკვევა. ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა სწორედ ბიბლიოთეკის საშუალებით უნდა გახდეს ღია საზოგადოებისათვის. ამისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკების და თვითმმართველობითი ორგანოების აქტიური კოორდინაციული თანამშრომლობა.

ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოში გამოცემული ოფიციალური და სხვა სახის უახლესი მასალები:

1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები: გამოდის 1996 წლიდან.

2. საქართველოს პრეზიდენტის აქტების კრებული: ოფიციალური გამოცემა / საქ. სახ. კანცელარიის სოც. მართვის და ინფორმაციის ცენტრი. გამოდის 1996 წლიდან.

3. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: [გაზეთი] გამოდის 1999 წლიდან, 3 ნაწილად, იბეჭდება საკანონმდებლო აქტები, კანონები, ბრძანებულებები.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებული. გამოდის 1991 წლიდან.

5. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებები: (კრებული). გამოდის 1996 წლიდან.

6. საქართველოს საკანონმდებლო აქტები გამოდის 1997 წლიდან.

7. საქართველოს პარლამენტის უწყებანი: ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის 1992 წლიდან. იბეჭდება პლენარული სხდომების მასალები, ბრძანებულებები; სხვადასხვა ინფორმაციები პარლ. თავმჯდომარის, მისი წევრების, კომიტეტების საქმიანობის შესახებ.

8. საქართველოს კონსტიტუცია: სახელმწიფოს უზენაესი კანონი მიღებულია 1995 წ. 24 აგვისტოს. – ბათუმი, შ.პ.ს. «ელვა», 1998. – 45 გვ.

9. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია: დამტკიცებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. - თბ.: სამშობლო, 1992. – 16 გვ.

10. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ადამიანის მოტაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ // საქ. რესპ. – 1991.- 10 ივლისი; თბილისი. – 1991. – 9 ივლისი.

11. «ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე: [დადგენილება] // საქ. რესპ. – 1995. – 12 გვ.

12. საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ: 1991 წლის 10 აგვ. // საქ. რესპ. – 1991. - 30 აგვ.; ახალგ. ივერიელი. – 1991. - 31 აგვ.

13. კანონი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ // საქ. რესპ. – 1998. - 2 დეკ. – გვ. 5-6.

14. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო – უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ: [კანონი] // საქ. რესპ. – 1997. – 19 იანვ.

15. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ // საქ. რესპ. – 1991. – 22 მარტი; სამართალი. – 1991. –1 3 - 4. – გვ. 92 – 93.

16. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად: (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის, ვენის, კოპენჰაგენისა და პარიზის თათბირების დასკვნითი აქტები და მასალები): / საქ. რესპ. ი. ჭავჭავაძის სახ. «ცოდნა».
- თბ., 1991. – 187 გვ.

17. თქვენი უფლებები გამოძიებასა და სასამართლოში: / ბროშურა მომზადებულია ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) ფინანსური მხარდაჭერით; ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი, კავშირი «კონსტიტუციის 42 – ე მუხლი». – თბ., 1999. – 19 გვ.

18. პირველი ნაბიჯები: დამწყები სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების განათლებისათვის. – თბ.: შატბერდი, 1998. – 174 გვ.

19. როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები / […გ. ნიკოლაიშვილი, ზ. მიხანაშვილი და სხვ.] - თბ.: დიაგონე, [1999] – 64 გვ.

20. ნიკოლაიშვილი, გ. ადამიანის უფლებები საქართველოში: კრიტიკული ანალიზი / გაეროს განვითარების პროგრამა – საქართველო: - თბ., 1994. – 41 გვ. - (სადისკუსიო წერილების სერია, 1)

21. გამყრელიძე, ო. ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის წ. 1. – თბ., 1998. – 288 გვ. ავტორი, განიხილავს კანონებს, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის უფლებებს.

22. სუმბაძე, ნ. სოციალური მეცნიერები და სამოქალაქო საზოგადოება. – თბ., 1999.-55 გვ. – (სადისკუსიო წერილების სერია, 6).

მკითხველი ამ ნაშრომში გაეცნობა სოციალურ მეცნიერებათა დღევანდელ მდგომარეობას საქართველოში, სწავლისა და კვლევითი საქმიანობის შესაძლებლობებს სოციოლოგიაში, სოციალურ ფსიქოლოგიაში და დემოგრაფიაში.

23. სამოქალაქო საზოგადოება: კრებული /სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრი; რედ. ლ. ბერძენიშვილი და გ. ბოკერია. – თბ., 1998.- 85 გვ.

დღეს საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს. დღის წესრიგში დგას საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ნორმებისა და წესების დამკვიდრება. კრებულში შესული სტატიები მკითხველებს გააცნობს ახალი ცნებების: «დემოკრატიული საზოგადოების», «სამოქალაქო უფლებების», «საზოგადოებრივი ორგანიზაციების» მნიშვნელობას.

24 ერქომაიშვილი, ვ. რა არის სამოქალაქო საზოგადოება? / საერთაშორისო საზოგადოება სამართლიანი არჩევნები; რედ. ნ. ივანიძე. – თბ., 1997. – 40 გვ. – (სერია: სამოქალაქო განათლების ბიბლიოთეკა).

25.ბეჟანიშვილი, მ.საუბარი ადამიანის უფლებებზე / საერთაშორისო საზოგადოება სამართლიანი არჩევნები; რედ. ნ. ივანიძე. – თბ., 1997. – 28 გვ. – (სერია: სამოქალაქო განათლების ბიბლიოთეკა).

26. დემოკრატიის კლასიკური დოკუმენტები: სტატიები / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; რედ. გ. ჭუმბურიძე. – თბ.: ლიცეუმი, 1994. – 48 გვ.

ბროშურაში შესულია ისტორიული დოკუმენტების ტექსტები: «თავისუფლების დიდი ქარტია», «ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია» და სხვ.

27. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი / დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის; შემდგ. ფრ. საყვარელიძე. – თბ.: დასი, 1999. – 128 გვ.

28. საქართველოს პოლიტიკური სისტემა / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი. – თბ., 1998. – 280 გვ. ანალიტიკურ – საცნობარო ხასიათის ნაშრომი, რომელიც მკითხველს გააცნობს საქართველოს პოლიტიკური სისტემის ისტორიას უძველესი პერიოდიდან დღემდე.

29. ნოდია, გ. საით? / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; რედ. ზ. სარაძე. – თბ.: ლიცეუმი, 1995. – 208 გვ.

ნაშრომში ავტორს შეკრებილი აქვს 1988 – 94 წლებში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც გამოხმაურებაა იმ პერიოდის მოვლენებსა და პროცესებზე; აგრეთვე

განხილულია პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესები.

30. ჭკუა ვაისაგან: სტატიები / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; რედ. გ. ჭუმბურიძე. - თბ. : ლიცეუმი, 1994. – 149 გვ.

ეს არის სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი, რომელშიც ავტორები განიხილავენ ქართველი ერის ცხოვრების წესის – კულტურის, აღზრდის, განათლების, თანაცხოვრების პრინციპების გადასინჯვის აუცილებლობას.

31. დაიანი მოშე ცხოვრება ბიბლიით / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; თარგმ. შ. ლეჟავამ. - თბ., 1996. – 136 გვ.

ამ წიგნს შეიძლება ეწოდოს უმოკლესი, მაგრამ სრული ისტორია ერთ – ერთი უძველესი, უნიკალური ხალხისა, ვინც ათასწლეულების განმავლობაში საკუთარ მიწას მოწყვეტილმა შესძლო შეენარჩუნებინა ენა, სარწმუნოება და მამულიც ააღორძინა. ავტორი ბიბლიით აფასებს თავისი ქვეყნის აწმყოს და მისი დახმარებით ცდილობს განჭვრიტოს თავისი ქვეყნის მომავალი.

32. ჰაველი ვაცლავ ძალა უძალოთა / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; თარგმ. ზ. სარაძისა. - თბ. : ლიცეუმი, 1995. – 95 გვ.

ვაცლავ ჰაველი პოლიტიკაში ტოტალიტარული სისტემის წინააღმდეგ სულიერმა და ინტელექტუალურმა პროტესტმა მიიყვანა. ის დღეისათვის თანამედროვეობის ერთ – ერთ წამყვან პოლიტიკურ მოაზროვნედ არის აღიარებული. ნაშრომი 1978 წელს დაიწერა და მასში კომუნისტური რეჟიმის სოციალური და ფსიქოლოგიური რეალობის ღრმა ანალიზია მოცემული.

33.საზოგადოება და პოლიტიკა: სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი: წ. 1 / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი;
რედ. გ. ჭუმბურიძე. – თბ., 1996. – 272 გვ.

34. საზოგადოება და პოლიტიკა: წ. 2 / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; შემდგ. გ. ჭუმბურიძე. – თბ., 1999. – 236 გვ. კრებულში შესული სტატიები წარმოადგენს ერთგვარი სოციალური და პოლიტიკური პროცესების კვლევის შედეგების აღწერას.